საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1191

09/12/2019

ქ. თბილისი

შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ „მეღორეობის ფერმის, ცხოველთა სასაკლაოსა და ცხოველური ნარჩენების ინსინერატორის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 24-ე და მე-16 პუნქტების, ასევე ამავე კოდექსის II დანართის მე-7 პუნქტის 7.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ „მეღორეობის ფერმის, ცხოველთა სასაკლაოსა და ცხოველური ნარჩენების ინსინერატორის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა № 129 (4.12.2019);
2. შპს „აშენდი აგრო საქართველო“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს № 129 (4.12.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აშენდი აგრო საქართველოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი